შირაქი

SHIRAKI

გამოცემის 85-ე წელი

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№43 (10.048)

19-26 ნოემბერი 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

როცა ფოთლის დაწვა დანაშაულია...

გვიანი შემოდგომაა. საუკეთესო მხატვარი - ბუნება ლამაზ პეიზაჟს ქმნის. შემოდგომის ქარი ხეებს ხან ნაზად ელამუნება, ხან კი ძალუმად დაუბერავს და წითელ-ყვითელ, ძალაგამოლეულ, მაგრამ არა სიცოცხლის ხალისდაკარგულ ფოთლებს გააცლის და დაბლა მიმოფანტავს... ნაირფერი ხალიჩა ეფინება დედამიწას.

შემოდგომის იდილიას ხშირად არღვევენ ადამიანები, რომლებიც სისუფთავის დაცვის მოტივით ქუჩებსა და ეზოებს ასუფთავებენ და ერთად თავმოყრილ ფოთლებს ცეცხლს უკიდებენ. ცეცხლი ნედლ ფოთოლს ნელა ეკიდება, ხრჩოლავს და გარემოს საშინელი სუნით ჟღენთავს. ასეთ გარემოში ყოფნა განსაკუთრებით რთული ასატანია მათთვის, ვისაც ფილტვების ობსტრუქციული დაავადება აწუხებს.

მათ პრობლემებს არად აგდებენ ის ადამიანები, რომელთათვისაც სხვისი ტკივილის გაზიარება უცხოა. სამწუხაროდ, ჩვენში კვლავ მრავლად არიან ადამიანები, რომელთაც არ სიამოვნებთ მითითება, არ სურთ ძველი, თუნდაც მავნე ჩვეულებაზე უარის თქმა და ახლის მიუღებლობა სჭირთ: „თუ არ მოგწონთ ეს გარემო, მაშინ საცხოვრებლად სხვაგან გადაბარგდით“; „ამ ქვეყანაში მეტ პრობლემას ვერ ხდავთ?“; „ახალ კანონებს რატომ იგონებთ, რა, ჩვენი მამაპაპა სხვაგვარად იქცეოდა?“-მსგავსი რეპლიკებით იგერიებენ ყველა „აუტანელ არამკითხეს“, ვინც კანონის ახალ მოთხოვნასა და ჯანდაცვის მონაცემებს აცნობს და მისი დაცვისკენ მიუთითებს.

ხანდახან, შემოდგომით ეზოსა თუ ბაღში იმდენად ბევრი ფოთოლი გროვდება, რომ მათ თავიდან მოსაცილებლად საუკეთესო გზა ცეცხლის გაჩაღება გვგონია. თუმცა, არსებობს რამდენიმე ყურადსაღები მიზეზი იმისა, თუ რატომ არის ფოთლების დაწვა ძალიან ცუდი საქციელი.

ჰაერის დაბინძურება და ჯანმრთელობის რისკები

აშშ-ს გარემოსდაცვითი სააგენტოს – EPA-ის მიხედვით, ფოთლების დაწვის დროს ჰაერში სხვადასხვა ტიპის ნაწილაკები გამოიყოფა, რომლებიც ჰაერს აბინძურებენ და ადამიანის ჯანმრთელობასაც უქმნიან საფრთხეს. ფოთლების წვის შედეგად გამოყოფილი კვამლი შეიცავს მთელ რიგ ტოქსინებს, კანცეროგენებსა და გამაღიზიანებლებს. კვამლში არსებული ნაწილაკები, შესაძლოა, ფილტვებში დაილექოს და წლების მანძილზე დარჩეს იქ. ისინი ზრდიან სასუნთქი გზების დაზიანებისა და ინფექციების რისკს, ამცირებენ ჰაერის რაოდენობას, რომელსაც ფილტვებამდე შეუძლია მიღწევა. იმ ადამიანების გარემოში კი, რომლებსაც ასთმა ან სხვა მსგავსი დაავადება აქვს, ფოთლების დაწვა, შესაძლოა, ძალიან სახიფათო იყოს.

გარდა ამისა, ფოთლების დაწვის შედეგად ატმოსფეროში ნახშირბადის მონოქსიდი – მხუთავი აირი გამოიყოფა. მისი ჩასუნთქვის შემდეგ CO სისხლში შეიწოვება, სადაც იგი იმ ჟანგბადის რაოდენობას ამცირებს, რომლის გადატანაც სისხლის უჯრედებს შეუძლია. ნახშირბადის მონოქსიდის ზემოქმედების მიმართ ყველაზე მგრძნობიარენი ბავშვები, მოხუცები, მწეველები და ის ადამიანები არიან, რომლებიც გულის ან ფილტვის ქრონიკული დაავადებით იტანჯებიან.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხმელ ფოთლებთან შედარებით, ტენიანი ფოთლები უფრო ნელა იწვიან და ამ პროცესის დროს კიდევ უფრო მეტ კვამლს გამოსცემენ. ასევე, ტენიანი ფოთლები უფრო ხშირად გამოყოფენ ნახშირწყალბადს, რომელიც თვალების, ცხვირის, ყელისა და ფილტვების გაღიზიანებას იწვევს, ზოგიერთ მათგანს კი კანცეროგენული თვისებებიც აქვს.

ხანძრის საფრთხე

დიდი გროვიდან ცალკეული ფოთოლი, რომელიც ნაწილობრივ იწვის, პოტენციურად, შესაძლოა, თავის აალებულ ნაწილაკებთან ერთად ქარს გაჰყვეს და ცეცხლის გაჩენისთვის ხელსაყრელ პირობებში აღმოჩნდეს. იმ შემთხვევაში, თუ მშრალ ადგილას ცხოვრობთ, სულ პატარა ნაპერწკალიც კი საკმარისია იმისთვის, რომ ერთი უწყინარი კოცონი კატასტროფად იქცეს. ასე რომ, ფოთლების დაწვა არამხოლოდ თქვენ, თქვენს გარშემო მცხოვრებ ადამიანებს და ბუნებასაც უქმნის საფრთხეს.

რის გაკეთება შეგიძლია სანაცვლოდ?

EPA-ის რეკომენდაციით, ფოთლების თავიდან მოსაცილებლად ყველაზე უსაფრთხო და ეკოლოგიურად გამართლებული გზა მათგან კომპოსტის დამზადებაა. ამ გზით ფოთლები – ორგანული მასალა ბუნებრივად იშლება, ჰაერში მავნე ნივთიერებების გამოყოფისა და ხანძრის გაჩენის გარეშე და, საბოლოოდ, ეფექტიან და ჯანსაღ სასუქსაც ვიღებთ.

კომპოსტირების გარდა, შემოდგომის ფოთლების გამოყენების სხვა გზებიც არსებობს – მაგალითად, შეგიძლიათ ეზოში ერთი დიდი გროვა გააკეთოთ და დაუსრულებლად იხტუნაოთ მასში. იმ შემთხვევაში კი, თუ ფიქრობთ, რომ უკვე საკმარისად გაერთეთ და გინდათ საბოლოოდ თავიდან მოიცილოთ ფოთლები, ისინი ბალახის საკრეჭით უნდა დააქუცმაცოთ და მიწაზე მოაფრქვიოთ – დაჭრილი ფოთლები ბევრად უფრო სწრაფად დაიშლება და მალევე იქცევა ნიადაგის ნაწილად

ფოთლების, თივის, პლასტმასას და სხვადასხვა შეფუთვის, რეზინის, შეღებილი ფიცრებისა და სხვა ნარჩენების დაწვის დროს ჰაერში გამოიყოფა მომწამვლელი აირები. ისინი ვრცელდება ასობით მეტრის მანძილზე, ამიტომ ერთი კოცონის ბოლმაც კი შეიძლება რამდენიმე ადამიანი მოწამლოს.

ნარჩენების წვის რამდენიმე კერის მიერ ჰაერის დაბინძურება ზოგჯერ უტოლდება ქარხნებისა და ტრანსპორტის გამონაბოლქვით გამოწვეულ ზიანს. ბოლი ბავშვებისთვის 6-ჯერ უფრო უფრო საზიანოა, ვიდრე უფროსებისთვის. ის განსაკუთრებით საშიშია ორსულებისთვის, სხვადასხვა დაავადებების მქონე ადამიანებისთვის და მოხუცებისთვის.

ნარჩენების მართვის კოდექსით, ფოთლების დაწვა, თუნდაც საკუთარი საცხოვრებელი სახლის ეზოში, 200-დან 500 ლარამდე ჯარიმას ითვალისწინებს, თუმცა პრაქტიკა აჩვენებს, რომ ეს სანქცია პრობლემას სრულად ვერ აგვარებს.

ნარჩენების მართვის კოდექსის 35 მუხ. 1 ნაწილით ეს ქმედება დასჯადია 200 ლარით. ფოთლების ან სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენების წვის შემთხვევაში მოქალაქეებმა დარღვევის შესახებ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს უნდა აცნობონ, ცხელი ხაზის ნომერზე — 153.

მოამზადა

ინგა შიოლაშვილი

აცერი და დაიცავი შენი გოგონა დღესვე!

რა არის ადამიანის პაპილომავირუსი (აპვ/HPV)?

ადამიანის პაპილომავირუსი (აპვ) რეპროდუქციული სისტემის ყველაზე გავრცელებული ინფექციაა და რიგი დაავადების გამომწვევი მიზეზია, როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში. ადამიანების 80% სიცოცხლეში ერთჯერ მაინც ინფიცირდება ამ ვირუსით. აპვ-ს 200-ზე მეტი ტიპი არსებობს, მათგან 12 კი მაღალი სიხშირით იწვევს კიბოს. აპვ ინფეციების უმრავლესობა უსიმპტომოდ მიმდინარეობს. თუმცა, ვირუსის სპეციფიური ტიპით (აპვ 16 და აპვ 18) განპირობებული ქრონიკული ინფექცია ხშირად საშვილოსნოს ყელის კიბოს გამომწვევი მიზეზი ხდება.

აპვ ასევე იწვევს გენიტალურ მეჭეჭებს, პირ-ხახის და ანოგენიტალურ სიმსივნეებს როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში - უკანა ტანის (88%), პირ-ხახის (13-60%), საშოს(78%), და მამაკაცის სასქესო ორგანოს კიბოს შემთხვევათა უმეტესობას (51%).

რამდენად გავრცელებულია საშვილოსნოს ყელის კიბო?

საშვილოსნოს ყელის კიბო ქალებში, სიმსივნურ დაავადებათა შორის, სიხშირით მეოთხე ადგილზეა მსოფლიოში, ხოლო ევროპასა და საქართველოში მეხუთე ადგილზე. საშვილოსნოს ყელის კიბოთი ყოველწლიურად მსოფლიოში 300 000-მდე, ხოლო საქართველოში 200-მდე ქალი იღუპება.

როგორ აპიცილოთ თავიდან პაპილოვირუსით გამოწვეული საშვილოსნოს ყელის კიბო?

აპვ ვაქცინა ვირუსის იმ ტიპების წინააღმდეგაა შექმნილი, რომლებიც იწვევს საშვილოსნოს ყელის კიბოს.

ვაქცინა მაღალეფექტურია. აცრილთა 95-100% უვითარდება დამცველობითი იმუნიტეტი. შესაბამისად, მცირდება ინფექციის გადაცემის და კიბოს განვითარების რისკი.

მსოფლიოში აპვ ვაქცინაცია დაიწყო 2006 წელს და უკვე დანერგილია 90-ზე მეტ ქვეყანაში: აშშ, ავსტრია, ავსტრალია, ბელგია, ისრაელი, იტალია,კანადა, საფრანგეთი, საბერძნეთი, ლატვია, ლუქსემბურგი, დანია, ფინეთი, მოლდოვა, სომხეთი და სხვა.

როგორ უნდა ჩატარდეს აცრა?

ვაქცინაციის საუკეთესო ასაკია 9-14 წელი. სწორედ ამ ასაკში ჩატარებული აცრების შედეგად ყალიბდება ძლიერი და ეფექტური იმუნური პასუხი.

საქართველოში პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის მიხედვით აპვ ვაქცინაცია კეთდება 10,11,12 წლის გოგონებში. აცრების კურსი შედგება 2 ინექციისგან. აცრებს შორის მინიმალური ინტერვალია 6 თვე.

2022 წლიდან ამ ასაკის გოგონებს დაემატა 13-18 წლის გოგონები.15-18 წლის ასაკისთვის აცრების კურსი 3 ინექციისგან შედგება.

აპვ ვაქცინა პრაქტიკულად უსაფრთხოა, აცრის შემდეგ იშვიათ შემთხვევაში შესაძლებელია განვითარდეს ჩვეული გვერდითი მოვლენები - ინექციის ადგილის სიწითლე, მტკივნეულობა, ტემპერატურის მომატება, თავის ტკივილი.

აცერი და დაიცავი შენი გოგონა დაავადებისგან!

ანგიოლოგი დედოფლისწყაროში!

დედოფლისწყაროს წითელი ჯვრის სამედიცინო კლინიკაში სიახლეა - 15 ნოემბრიდან მუნიციპალიტეტს კვირაში ერთხელ ანგიოლოგი (სისხლძარღვთა სპეციალისტი) ესტუმრება. მაღალკვალიფიციური სპეციალისტი დედოფლისწყაროელ პაციენტებს წინასწარი ჩაწერით მიიღებს. ჩაწერისთვის დარეკეთ შემდეგ ნომრებზე: 591 81 72 40; 557 14 84 48.

დედოფლისწყაროს საბავშვო ბაღებში დარღვევები არ აღმოჩნდა

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების ინსპექტირების შედეგები გამოაქვეყნა. სესის ინფორმაციით, გეგმიური ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ საბავშვო ბაღებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები სტანდარტებს შეესაბამება.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, სურსათის სააგენტოს ინსპექტორებმა დედოფლისწყაროში მოქმედ 10 საბავშვო ბაღში ინსპექტირება მიმდინარე წლის პირველ კვარტალში განახორციელეს. შემოწმება 16-24 მარტის პერიოდში ჩატარდა ქალაქ დედოფლისწყაროს ოთხივე ბაღსა და სოფლებში: ზემო მაჩხაანი, მირზაანი, არბოშიკი, ოზაანი, გამარჯვება და ხორნაბუჯი. ინსპექტორებმა პირველ ეტაპზე შეამოწმეს საბავშვო ბაღებში მოქმედი სამზარეულოები, სადაც ბავშვებისთვის ყოველდღიური საკვები მზადდება. დაცული იყო როგორც პროდუქტების შენახვის წესი, ისე საკვების ვარგისიანობის ვადები, ხარისხი და ყველა სხვა პირობა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტით არის აღიარებული. ინსპექტირების ჯგუფს ათი საბავშვო ბაღიდან არცერთ მათგანში არ გამოუვლენია რაიმე სახის დარღვევა, ან შეუსაბამობა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ხშირად უსვამს ხაზს, რომ დედოფლისწყაროს საბავშვო ბაღები რეგიონში ბევრი კუთხით საუკეთესოა. მათ შორის სანიტარულ-ჰიგიენური კუთხითაც დედოფლისწყაროს საბავშვო ბაღების მისამართით შენიშვნები არასოდეს ყოფილა. ბოლო წლებში პირობები მკვეთრად გაუმჯობესდა. განახლდა როგორც საბავშვო ბაღების შენობები, ისე ინვენტარი. სამზარეულოებში დაინერგა ელექტროქურების გამოყენება და უარი ითქვა ბუნებრივ აირზე, რამაც პატარებისთვის უსაფრთხო გარემო შექმნა.

„დღეს ვითარება ცა და დედამიწასავით განსხვავდება. ჩვენ რომ მოვედით ხელისუფლებაში, საბავშვო ბაღების უმრავლესობას ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა და ამ ფონზე ცხადია სურსათის უვნებლობაზე საუბარი ზედმეტი იყო. ბევრ შენობას არ ჰქონდა ფანჯრები და წყალი ჩამოდიოდა. დედოფლისწყარო პირველი მუნიციპალიტეტი იყო, რომელმაც საბავშვო ბაღებში გადასახადი გააუქმა და მშობლებს ყოფა გაუადვილა. შედეგად გასამმაგდა ბავშვთა კონტინგენტი და მეტი ბავშვი შეიყვანეს ბაღში. ამის გამო დადგა საჭიროება დამატებითი ჯგუფები, ოთახები და სპეციალისტები გამოგვეყო. მას შემდეგ მკვეთრად გაიზარდა როგორც ბაღების წლიური დაფინანსება, შრომითი ანაზღაურება, ისე კვებითი რაციონი. ასევე საუკეთესო მდგომარეობა გვაქვს ყველა ბაღის შენობაში და აღარ გვხვდება პრობლემები. თუ 2012 წელს ბაღებზე 343 000 ლარი იხარჯებოდა, დღეს 2 300 000 ლარია გათვალისწინებული. ამ თანხაში არ შედის ის ხარჯი, რაც შენობების აღდგენას ხმარდება. დღეს დედოფლისწყაროში ბაღების ამორტიზებული შენობები აღარ არსებობს, ყველა მათგანი განახლებულია და საუკეთესო გარემოა შექმნილი,“ - აღნიშნავს ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორები საბავშვო ბაღების შემოწმებას დედოფლისწყაროში გაზაფხულზე კიდევ განახორციელებენ.

ილია მარტყოფლიშვილი

სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია გახანგრძლივდა!

სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია გახანგრძლივდა და 22 ნოემბრის ჩათვლით ყველა მსურველისთვის უფასო იქნება.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ცნობით, ქვეყნის მასშტაბით, სეზონური გრიპის საწინააღმდეგო აცრა, 6 თვის ასაკიდან, უფასოა. ნებისმიერი მსურველი, მომსახურებას, ვაქცინაციის პროცესში ჩართულ, 400-მდე სამედიცინო დაწესებულებაში მიიღებს.

„იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საქართველომ, 200 000 დოზა, სანოფი პასტერის წარმოების, ოთხ-კომპონენტიანი ვაქცინა შეიძინა, რომელიც ერთ-ერთია ჯანმოს მიერ რეკომენდებულ ვაქცინებს შორის.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრმა, ვაქცინაცია სექტემბრის ბოლოს დაიწყო. პირველ ეტაპზე, მომსახურება, დაავადების გართულების მომატებული რისკის მქონე პირებმა მიიღეს. 22 ნოემბრის ჩათვლით კი ვაქცინაცია ნებისმიერი მსურველისთვის უფასო იქნება“,- აღნიშნულია ინფორმაციაში.

სოციალური საწარმოების და სერვისების განვითარებაზე იმსჯელეს

საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაციის წარმომადგენლები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ნიკოლოზ ჯანიაშვილს შეხვდნენ.

შეხვედრა პროექტ - „სოციალური მეწარმეობის განვითარება მდგრადი და ინკლუზიური საზოგადოებისთვის“ ფარგლებში გაიმართა, რომელიც ევროკავშირის დაფინანსებით ხორციელდება და მიზნად ისახავს თვითმმართველობებში სოციალური საწარმოებისა და სერვისების განვითარების ხელშეწყობას.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაციის მხარდაჭერით შეიმუშავებს პროგრამას, რომელიც ხელს შეუწყობს სოციალური პროექტების თანადაფინანსებას და მეწარმეობის განვითარებას.

საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაციას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტთან მრავალწლიანი თანამშრომლობის პრაქტიკა აქვს - ორგანიზაციის მიერ სოფელ არბოშიკში, სოფელ ხორნაბუჯსა და ზემო ქედში დაფუძნებული სათემო ცენტრები ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად აქტიურად ახორციელებენ სხვადასხვა მიმართულების პროგრამებს.

წამლები გაიაფდება

2023 წლის იანვრიდან მოქალაქეებს წამლების შეძენა თითქმის განახევრებულ ფასად შეეძლებათ. ჩვენს ქვეყანაში წამლის კანონში ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, ფარმაცევტული კომპანიები მედიკამენტებს მთავრობის მიერ დადგენილ ფასზე ძვირად ვეღარ გაყიდიან. არადა დღემდე პოპულარული ფარმაცევტული კომპანიები წამლებს ხშირ შემთხვევაში სამმაგ ფასად ჰყიდიან, მეზობელ ქვეუყნებში კი წამლის ფასი ბევრად დაბალია. როგორც ჯანდაცვის მინისტრმა, ზურაბ აზარაშვილმა აღნიშნა, სიახლე პირველ ეტაპზე 1000-ზე მეტ წამალს შეეხება და რეფერენტული ფასები ქრონიკული და ონკოლოგიური დაავადებების სამკურნალო პრეპარატებზე დაწესდება.

„ნიკალა – 160“ მასშტაბურად აღინიშნა

სოფელ მირზაანში „ნიკალა – 160“ მასშტაბურად აღინიშნა.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, ნიკო ფიროსმანის დაბადებიდან 160-ე საიუბილეო წლისთავი მხატვრის მშობლიურ სოფელ მირზაანში მასშტაბური ღონისძიებებით აღინიშნა.

ღონისძიებას კახეთის სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი ალადაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი, ნიკოლოზ ჯანიაშვილი და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი დაესწრნენ.

ნიკო ფიროსმანის სახლ - მუზეუმის ეზოში წარმოდგენილი იყო მხატვრის მიერ შექმნილი ნამუშევრების ასლების გამოფენა, მსახიობებმა გააცოცხლეს ფიროსმანის პერსონაჟები და ადგილზე მისულ დამთვალიერებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ კიდევ ერთხელ ემოგზაურათ გენიალური ფიროსმანის მიერ შექმნილ მხატვრულ სამყაროში.

ღონისძიებების ჩატარების ადგილზე ასევე წარმოდგენილი იყო შემოდგომისთვის დამახასიათებელი თემატური კუთხეები, საბავშვო, შემეცნებითი და გასართობი სადგურები, გაიმართა ხატვის მასტერკლასი. დედოფლისწყაროს ახალგაზრდული თეატრი „ბერიკონის“ მსახიობებმა სხვადასხვა ფრაგმენტები წარმოადგინეს.„

„ნიკალა-160“-ის აღნიშვნაში ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები მონაწილეობდნენ. ღონისძიებები ანსამბლი „რანინას“ და ჯგუფი „ბანის“ დასკვნითი კონცერტით დასრულდა.

პროექტი „მუზეუმი სკოლაში“ გრძელდება

მუზეუმი ადამიანის განვითარების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. გარდა კონკრეტული პიროვნების ცხოვრების მნიშვნელოვანი ასპექტების ასახვისა, ის გვაძლევს საშუალებას, გავეცნოთ სხვადასხვა ეპოქას, ადამიანთა ცხოვრებისა და განვითარების თითოეული ეტაპის მნიშვნელოვან მომენტებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის ინიციატივით პროექტი „მუზეუმი სკოლაში“ კვლავ გრძელდება. პროექტის ფარგლებში მორიგი შეხვედრა არბოშიკის საჯარო სკოლაში გაიმართა. ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის თანამშრომელმა გიორგი ხიზანიშვილმა შეკრებილი საზოგადოება ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრების წლებში ამოგზაურა. „ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილი (1817-1845 წწ.) - ქართველი რომანტიკოსი პოეტია. ბარათაშვილმა, როგორც მოაზროვნემ, საქართველოში მთელი XIX საუკუნის ლიტერატურის განვითარებას მისცა მიმართულება. მან ქართული ლექსი ყველაზე მეტად გაათავისუფლა აღმოსავლური პოეზიის მოძველებული ტრადიციებისაგან. ილია ჭავჭავაძის აზრით, ბარათაშვილის შემოქმედება, ქართულ მწერლობაში ევროპეიზმის დამკვიდრებას მოასწავებს. ბარათაშვილი ფილოსოფიური ლირიკის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია. მის შემოქმედებაში ერთნაირი ძალით გამოიხატა როგორც ადამიანის პირადიწწ გრძნობები, ისე ზოგადსაკაცობრიო იდეები.

1832 წლის შეთქმულებამ ნიკოლოზ ბარათაშვილზე დიდი გავლენა მოახდინა. შეთქმულებაში ქართული საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ის რუსეთის კლანჭებისაგან საქართველოს გათავისუფლებას ისახავდა მიზნად, ამდენად მისმა წარუმატებლობამ ბევრი უიმედობით აღავსო. თუმცა ნიკოლოზ ბარათაშვილს არასდროს დაუკარგავს იმედი და ყოველთვის უკეთეს მომავალს ელოდა. ეს თვისება მას გამოარჩევდა სხვა რომანტიკოსებისაგან, რომელთაც მომავლის რწმენა სრულიად დაკარგული ჰქონდათ.

1842 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილმა დაწერა უსათაურო ლექსი - „მირბის, მიმაფრენს“, რომელსაც შემდეგ „მერანი“ ეწოდა. მასში თვალსაჩინოდაა დახატული, როგორ უნდა ებრძოლოს ადამიანი მწარე რეალობას, რომ დასახულ მიზანს მიაღწიოს. ბარათაშვილმა, როგორც რომანტიკოსმა, უპირატესობა შთაგონებას მიანიჭა. რომანტიკოსი მწერლის მიზანია არა რეალობის ზუსტი ასახვა, არამედ მის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, საკუთარი იდეალური სამყაროს შექმნა და მისი მეშვეობით, საკუთარი იდეალის მკითხველამდე მიტანა. რისი შესანიშნავი მაგალითია ლექსი „მერანი“- აღნიშნა გიორგი ხიზანიშვილმა.

ემოციებით დატვირთული მოგზაურობის შემდეგ, დაისვა არა ერთი საინტერესო კითხვა. ბოლოს კი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის სახელით გიორგი ხიზანიშვილს სახსოვრად „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“ გადაეცა. მადლობა გვერდში დგომისთვის ჟუჟუნა ყანჩაშვილს.



გეტყვით, რომ:

ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმი 1982 წლის 31 ოქტომბერს, „თბილისობის“ რიგით მესამე დღესასწაულზე დაარსდა. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 31.07.1980 წ. N 14.20.360 გადაწყვეტილებით. ნ. ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი ჩახრუხაძის ქ. N 17/16-ში განთავსდა.

XIX საუკუნის მემორიალური შენობა თბილისის ერთ-ერთ ძველ, კოლორიტულ კალა-უბანში მდებარეობს. ეს არის საუკუნოვანი ძეგლებითა და მოსახლეობის ეროვნული სიჭრელით გამორჩეული, ისტორიულად მნიშვნელოვანი ადგილი. მუზეუმს ესაზღვრება VI საუკუნის ძეგლი - ანჩისხატის ტაძარი, თბილისის ერთ-ერთი კარის ნანგრევები, ბარათაშვილის თანამედროვე ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის საცხოვრებელი სახლი, გაგრძელებაზე - ერეკლე II-ის მოედანი, სადაც თავის დროს მდებარეობდა ბარათაშვილის დედის, ეფემიასა და ბიძის, გრიგოლ ორბელიანის ორსართულიანი სახლი, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის კარის წმ. გიორგის ეკლესია.

მუზეუმში დიდი ქართველი რომანტიკოსი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის (1817-1845 წწ.) ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული მასალებია დაცული: ეპოქალური ნივთები, ავეჯი, ხალხური საკრავები, XIX ს-ის როიალი, მხატვრული ტილოები, პოეტის შემოქმედების გამოცემები (დაწყებული 1876 წლიდან), ფოტომასალა, სხვადასხვა კლასიკოსთა ხელნაწერები, ბიბლიოთეკა, წიგნადი ფონდი და სხვა დამხმარე მასალა. მუზეუმში თავმოყრილ ექსპონატთა შორის სავიზიტო მასალას წარმოადგენს ორი ფოტო - პოეტის მუზის - ეკატერინე ჭავჭავაძის ლიტერატურული სალონი „ცარსკოე სელოში“ და კლასიკური გიმნაზიის შენობა; ბარათაშვილის ლექსების პირველი კრებული, გამოცემული 1876 წელს; გიორგი ლეონიძის სამეცნიერო შრომის 1935 წლით დათარიღებული ხელნაწერი; პოეტის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის მოსაწვევი ბარათი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში (21.10.1945 წ.) და სხვა.

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ - UNESCO, ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეო თარიღი - დაბადებიდან 200 წლისთავი 2017 წლის საერთაშორისო მნიშვნელობის კულტურული მოვლენების ნუსხაში შეიტანა. ნიკოლოზ ბარათაშვილის 200 წლის იუბილესთან დაკავშირებით 2017 წლის 4 დეკემბერს ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმი საზეიმოდ გაიხსნა. სახლ-მუზეუმში მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და საგამოფენო სივრცეების რეექსპოზიცია. საგამოფენო სივრცეში პირველადაა გამოყენებული თანამედროვე მუზეოგრაფიის შესაბამისი კრეატიული ინდუსტრია და 3D ანიმაცია. რეექსპოზიციის პროექტის მიზანია, კულტურის სხვადასხვა ინდუსტრიული საშუალებებით - ანიმაციური მეთოდებით ფართო საზოგადოებას წარუდგინოს და პოპულარიზაცია გაუწიოს ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელსა და შემოქმედებას თანამედროვე მუზეოგრაფიის შესაბამისად და მიმზიდველი აქციოს დამთვალიერებლისათვის.

ვინ იფიქრებდა, რომ . . .

ვინ იფიქრებდა, რომ 160 წლის წინ, ერთ სრულიად უწყინარ ტირილს, მთელი სახელოვნებო სამყაროს შეცვლა და გადატრიალება შეეძლო. დიახ, 160 წლის წინ, სოფელ მირზაანში, გლეხის ოჯახში დაბადებული ყრმის ერთმა სრულიად უწყინარმა ტირილმა შეცვალა არამხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო ხელოვნების ამოსავალი წერტილი და ის უბრალოებას, სინათლეს და უანგარო სიკეთეს დაუკავშირა.

ვინ იფიქრებდა, რომ 160 წლის წინ დაბადებული, თვითნასწავლი მხატვარი, მშობლების გარდაცვალების შემდეგ დიდ ქალაქს - თბილისს მიაშურებდა და იქ დაიწყებდა საკუთარი ბედის ძიებას. ბედისას, რომელიც როგორც გაირკვევა, არც თუ ისე კეთილი და ხელგაშლილი აღმოჩნდება მუდამ საკუთარი თავისა და ადგილის ძიებაში დაკარგული მხატვრისათვის.

ვინ იფიქრებდა, რომ ამ ძიებაში დაკარგულ ადამიანს სოციალური გარემოც შეუწყობდა ხელს და სრულიად გზააბნეული მისთვის უჩვეულო ნახატებსაც შექმნიდა: ქეიფის, ქალაქური იერსახის, ბოჰემური ცხოვრების წარმომადგენლების, სოციალურად დაპირისპირებულ სახეებს, რომელთა „წყალობაზეც“ მისი ყოველდღიური ყოფა იქნებოდა დამოკიდებული.

ვინ იფიქრებდა, რომ ის ჩვეულებრივ მუშამბაზე დახატავდა. განათლების გარეშე დარჩენილი მხატვარი თავისუფლად ასახავდა საკუთარი სამყაროს მთლიანობას, შეძენილი ცოდნა კი ერთგვარად ხელს შეუწყობდა მისი სურათების მკაფიო თავისებურებების გამოვლენას.

ვინ იფიქრებდა, რომ მუდმივად სარჩო-საბადებლის ძიებაში გართული ფიროსმანაშვილის სურათების უპირველეს ძალას შინაგანი სიმართლე, უშუალობა, დიდი ექსპრესიულობა, ხასიათის მკაფიო გამოკვეთა შეადგენდა.

ვინ იფიქრებდა, რომ ფიროსმანის შემოქმედება XX საუკუნის 10-20-იანი წლების მიჯნაზე, როდესაც ხელოვნებაში მწვავედ დაისვა ქართული ეროვნული ფორმის ძიების საკითხი, დიდ გამოძახილს ჰპოვებდა ქართველ მხატვართა ახალი თაობის წარმომადგენლებში, რომელთაც ფიროსმანი სამართლიანად მიაჩნდათ ეროვნულ ნიადაგზე ორგანულად აღმოცენებულ მხატვრად და მისი შემოქმედება საყოველთაო სახალხო სიყვარულით ისარგებლებდა.

ვინ იფიქრებდა, რომ ფიროსმანის შემოქმედება მოივლიდა მსოფლიო მუზეუმებს ევროპიდან დაწყებული შორეული აზიით დამთავრებული და ასეთ აღიარებას მოიპოვებდა. აღიარებას, რომელზეც მუდმივად სხვისი ხელის შემყურე, მუდმივად თავდახრილი, მუდმივად ორიოდ გროშის მომლოდინე მხატვარი, ალბათ, ვერც კი იოცნებებდა.

ვინ იფიქრებდა, რომ მისი ნახატების შეძენის მსურველები ერთმანეთს ვაჭრობის დიდ რბოლაში დაუპირისპირდებოდნენ და ეს რბოლა ხშირად არასამართლიანი, არაკეთილსინდისიერი იქნებოდა.

ვინ იფიქრებდა, რომ გარდაცვალების შემდეგ, ფიროსმანი ნახატებთან ერთად წარმატებით „იმოგზაურებდა“ კიევში, სტამბოლში, მინსკში, ვეზელში, ვილნიუსში და კიდევ უამრავ ქვეყანაში და ამ ქვეყნებში მას 350 000-ზე მეტი დამთვალიერებელი ეყოლებოდა. ეს კი მაშინ, როდესაც სიცოცხლეში იშვიათად თუ სცილდებოდა თბილისს დუხჭირი ყოფის გამო, იშვიათად თუ ვინმე დაინტერესდებოდა მისი შემოქმედების ღირებულებით, ღირსებით, იდეით.

ვინ იფიქრებდა, რომ მას, ნიკო ფიროსმანაშვილს საქართველოს ეროვნულ ვალუტაზე გამოსახავდნენ და სამშობლო, როგორც საკუთარი ქვეყნის გამორჩეულ შვილად, მხატვრად, ეროვნული კულტურისა და ტრადიციების ელჩად აღიარებდა. მასზე ფილმს გადაიღებდნენ, ამავე ფილმს კი XXI საუკუნეში მისი ეზოს სტუმრები დიდ ეკრანზე ნახავდნენ და განცვიფრდებოდნენ: ეს ფიროსმანაშვილია? ასეთი ცხოვრებით იცხოვრა? და პასუხს სწორედ იმავე ფილმში იპოვნიდნენ.

ვინ იფიქრებდა, რომ ქიზიყში, მის მშობლიურ სახლში, მუზეუმი განთავსდებოდა. სახლში, სადაც გაჭირვებისა და დაუღალავი შრომის აჩრდილს დაესადგურებინა, უკეთესი მომავლის პერსპექტივა კი 160 წლის შემდეგაც აქტუალური იქნებოდა.

ვინ იფიქრებდა, რომ სწორედ მისი პატარა სახლის ეზოში ყოველწლიურად ჩატარდებოდა სახალხო დღესასწაული „ფიროსმანობა“, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები სიყვარულით გაიხსენებდნენ ნიკალას. თანასოფლელები ეზოში ტრადიციულ კერძებს მოამზადებდნენ, სტუმრებს გაუმასპინძლდებოდნენ, მისივე პერსონაჟები ეზოში გაცოცხლებულნი, ამაყად მომზირალნი ივლიდნენ და საზოგადოება მათი ხილვით დატკბებოდა.

ვინ იფიქრებდა, რომ იგივე საზოგადოება უკვე დამკვიდრებულ, დროში გამოცდილ და მათთვის მნიშვნელოვან სახალხო დღესასწაულს გამორჩეული ქიზიყური სულით, ხალხურობის განსაკუთრებული შეგრძნებითა და ადგილობრივი ორგანიზატორებით ინატრებდა, ვისაც უკეთ ეცოდინებოდა საკუთარი შვილის დიდებულად წარმოჩენის გზები, მიდგომები, დღესასწაულის მიზანი და არსი. ქაოსში წამოძახილი მავანთ ფრაზა კი „ქალბატონებო, ცომი იგვიანებს“ - აღარც ადგილობრივებსა და ტურისტებს შეაცბუნებდათ და აღარც ხალხს ათქმევინებდა, მაშინ „პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო...“.

რა თქმა უნდა...

160 წელი გავიდოდა, უამრავი წყალი ჩაივლიდა ნიკალას აღმართზე, უამრავი ფოტოფირი დაიხარჯებოდა, უამრავი ტელეფონი ახმაურდებოდა, უამრავი კამერა გადაიღებდა ტირილიდან სიცილამდე, მწუხარებიდან მხიარულებამდე შეცვლილ ნიკალას ეზოს, მის არე-მარეს, ერთი პატარა ქოხიდან მუზეუმად ქცეულ სახლს, შემოდგომის ჭირნახულს, დოვლათს, უამრავი ემოციით დატვირთულ საზოგადოებას, მაგრამ ბოლო „კმაყოფილი“ სტუმრის წასვლის შემდეგაც კვლავ დარჩებოდა მწუხარე, სევდანარევი, ირემზე „ამხედრებული“ მოღიმარი მოხუცი კაცი, რომლის მუდმივად მომლოდინე თვალებში, ალბათ, ამოიკითხავდით თითოეულის გულში დამალულ კითხვას: **„ვინ იფიქრებდა ამას?“**

გვერდი მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

დიაბეტის საერთაშორისო დღე – რისკები და გამოწვევები

14 ნოემბერს დიაბეტის მსოფლიო დღე აღინიშნა. დიაბეტი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ძალზე ვერაგი ქრონიკული დაავადებაა. გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, ინსულინის რამდენი მომხმარებელია დედოფლისწყაროში, გაახალგაზრდავდა თუ არა დაავადება და რა გავლენა იქონია პანდემიამ ადგილობრივებზე. როგორ აისახა პოსტპანდემიური პერიოდი ამ რისკ ჯგუფზე და რა გამოწვევების წინაშე დგანან დიაბეტით დაავადებული პაციენტები.

როგორც „შირაქს“ დედოფლისწყაროს საავადმყოფოში აცნობეს, ყოველწლიურად ადგილობრივ ენდოკრინილოგთან 800-დან 1000-მდე ვიზიტი ფიქსირდება. ამჟამად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ინსულინის მომხმარებელი სულ 140 პაციენტია რეგისტრირებული, რომელიც სახელმწიფოსგან უსასყიდლოდ იღებს ინსულინს. დიაბეტით დაავადებულ იმ პაციენტთა ზუსტი რაოდენობა, რომლებიც ინსულინს არ საჭიროებენ და დიაბეტს მედიკამენტებით მართავენ, აღრიცხული არ არის. ეს იმას ნიშნავს, რომ საერთო ჯამში დიაბეტს გაცილებით მეტი დედოფლისწყაროელი ებრძვის. მოსალოდნელია ისიც, რომ მედიკამენტოზური მკურნალობის ქვეშ მყოფი პაციენტები, უმართავი მკურნალობის ფონზე, დროთა განმავლობაში დაავადების დეკომპენსაციის ფონზე ინსულინზე გადავიდნენ.

დედოფლისწყაროს საავადმყოფოს ენდოკრინოლოგი მაია ბეგიაშვილი „შირაქთან“ საუბრისას ბოლო წლების ტენდენციებზე ამახვილებს ყურადღებას და მოსახლეობას რეკომენდაციებს აძლევს.

მაია ბეგიაშვილი: „ჩემი დაკვირვებით, ბოლო სამი წელია განსაკუთრებით ცუდი დინამიკა შეინიშნება. შეცვლილი იმუნური სტატუსის ფონზე გამოვლენილი დიაბეტი პოსტკოვიდური მდგომარეობის დროს და მედიკამენტის ფონზე ინდუცირებული სტეროიდული დიაბეტის შემთხვევები გახშირდა. ვერ გეტყვით ასე რატომ მოხდა, მაგრამ კოვიდის გადატანის შემდეგ დიაბეტის განვითარების შემთხვევებიც გვქონდა. განსაკუთრებით 40 წლის ასაკის ზემოთ.

ამ ეტაპზე 140 მოქალაქეა ინსულინზე აღრიცხული. პოსტკოვიდურად ვისაც დაემართა ის აბებზეა, განსაკუთრებით ახალგაზრდა კონტიგენტში შეინიშნება დიაბეტის გამოვლინება, უფრო მეტად ჭარბი წონის არსებობის შემთხვევაში... დიაბეტი ვერაგი დაავადებაა, მის სამკურნალოდ ინიშნება როგორც აბები (მსუბუქად მიმდინარეობისას), ისე ინსულინი (როცა მძიმე ფორმით მიმდინარეობს, ან თანმხლებია შაქრიანი დიაბეტით გამოწვეული ქრონიკული გართულებები).

ბოლო 20 წელია საკმაოდ განვითარდა დიაბეტის მართვა, დღეს უკვე ფუფუნება გვაქვს მედიკამენტების არჩევის მრავალფეროვნებაში. ბევრი მედიკამენტი შეიქმნა, რომელიც გართულების თავიდან აცილებას და შეჩერებას ახდენს.

უნდა გვახსოვდეს, რომ დიაბეტი არ არის განაჩენი!.. მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ პაციენტები ილუპებიან არა დიაბეტით, არამედ დიაბეტისგან გამოწვეული დაზიანებებით. ამიტომ, დიაბეტის აღმოჩენის შემთხვევაში უნდა ვიზრუნოთ რეჟიმის დაცვაზე და ვისწავლოთ მისი მართვა. დიდწილად გართულებების თავიდან არიდება მოხერხდება-ხოლმე, თუ პაციენტი კარგად აკონტროლებს დაავადებას, იცავს ექიმის მითითებებსა და მკაცრ დიეტას. აუცილებელია მუდმივი ვიზიტები ენდოკრინოლოგთან, რათა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ იყოს და სწორად იმართოს დაავადება. სხვა შემთხვევაში მრავალმხრივ გართულებებს ვიღებთ და ორგანოების დაზიანება შეუქცევად ხასიათს იძენს.

ბავშვებში დიაბეტი ძირითადად ინფექციური დაავადებების გადატანის შემდეგ ვლინდება. მაგალითად, ბოლო ხანს მქონდა შემთხვევა, როდესაც სიღნაღის ერთ-ერთი სოფლიდან 7 წლის პაციენტი მივიღეთ, რომელსაც კოვიდის გადატანიდან ერთ თვეში დიაბეტი გამოუვლინდა. გავრცელებულია მითები იმასთან დაკავშირებით, რომ დიაბეტით დაავადებული ქალი შვილს ვერ გააჩენს და თუ გააჩენს, ისიც დიაბეტით იქნება დაავადებული. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის და მცდარი აზრია. დიაბეტის მაპროვოცირებელი ერთ-ერთი გარემოება ჭარბი წონაა. სწორი კვების რეჟიმის დაცვა, მეტი ფიზიკური აქტივობა და ჯანსაღი ცხოვრების წესი საშუალებას მოგვცემს თავიდან ავირიდოთ დიაბეტის რისკი. მხოლოდ შაქრის ფხვნილის პირდაპირ გამოყენებაზე უარის თქმა, ცხადია, თავიდან ვერ აგვარიდებს დიაბეტის რისკს. უნდა გვახსოვდეს, რომ შაქარს სხვა უამრავი პროდუქტი შეიცავს. ამიტომ, უშაქრო ჩაისა და ყავის მირთმევა პრევენციისთვის საკმარისი სულაც არ არის. ასევე მაქსიმალურად უნდა მოვერიდოთ რაფინირებული ნახშირწყლების მიღებას.

ტრადიციულად, პაციენტები პირველ ეტაპზე კარგად იცავენ ექიმის მითითებებს, აკონტროლებენ სისხლში შაქრის დონეს, იკვებებიან დიეტურად, თუმცა როდესაც შენიშნავენ, რომ შაქრის დონე შედარებით დასტაბილურდა და მართვა შეძლეს, მაშინვე არღვევენ რეჟიმს. ეს ყველაზე დიდი შეცდომაა. სამწუხაროდ, ამ დაავადების თავისებურება ის გახლავთ, რომ ის მუდმივად საჭიროებს რეჟიმის მკაცრ დაცვას. როგორც კი პაციენტი დაარღვევს, ეს აუცილებლად აისახება მის ჯანმრთელობაზე. სამწუხაროდ, ასევე ხშირად გვაქვს შემთხვევები, როცა დიაბეტის მართვის შემდგომ წლებში პაციენტები ნაკლებად აკითხავენ ექიმს კონსულტაციისთვის და ასეთ დროს გამწვავებულ მდგომარეობას ვიღებთ, ხშირად რეაგირება უკვე დაგვიანებულიც არის ხოლმე“.

ელზა ჩერქეზიშვილი (პაციენტი): „42 წლის ასაკში გამომივლინდა დიაბეტი, სულ მალე ინსულინზე გადამიყვანეს. შემდეგ იმდენად მაღალი მქონდა შაქრის დონე, უფრო ძლიერი ინსულინი „ლანტუსი“ დამენიშნა. დღისით ინსულინს ვიკეთებ, ძილის წინ ლანტუსს. ათი წლის წინ ჩამომეშალა ორივე თვალის ბადურა, ვეღარაფერს ვხედავდი, სანამ ხელოვნური თვალი არ ჩავისვი. დიაბეტმა დამიზიანა თირკმელები, ქვედა კიდურები შემიშუპდა. ბოლო ორი წელია სუნთქვის უკმარისობა მაქვს, მუხლების დეფორმაცია დამეწყო და ვეღარც გადაადგილებას ვახერხებ. ეს ყველაფერი დიაბეტისგანაა გამოწვეული. ხშირად სისხლში შაქრის დონე 24-საც აღწევდა, რაც საკმაოდ რეკორდული მაჩვენებელია. ბოლო ერთი თვეა ფეხის თითებზე განგრენის პროცესი დამეწყო. მედიკოსები კიდევ ვერ მეუბნებიან, თითების, ან ტერფის შენარჩუნება მოხერხდება თუ არა. ამ ყველაფერს ასე დაწვრილებით იმიტომ აღვწერ, რომ საზოგადოებას ჰქონდეს წარმოდგენა, რამდენად დაუნდობელი დაავადებაა დიაბეტი და როგორ ანგრევს მთელს ორგანიზმს. სამწუხაროდ, მე ვერ შევძელი დიაბეტის სათანადო მართვა და გასული 20 წლის განმავლობაში ექიმის მითითებების დაცვა. ამიტომ დამიდგა რთული შედეგი“.

დიაბეტის მსოფლიო დღე 14 ნოემბერი ყოველწლიურად აღინიშნება და მისი მიზანია მოსახლეობის დაავადებაზე ყურადღების გამახვილება და ცნობიერების ამაღლება. ეს დღე 160-ზე მეტ ქვეყანასა და დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის 230-ზე მეტ წევრ ასოციაციაში აღინიშნება. დიაბეტის პირველი მსოფლიო დღე 1991 წლის 14 ნოემბერს, დიაბეტის საერთაშორისო ფონდისა (IDF) და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) თანამშრომლობით ჩატარდა. აღსანიშნავია, რომ 14 ნოემბერი სამედიცინო ისტორიისთვის მნიშვნელოვანი თარიღია, რადგან სწორედ ამ დღეს, ფრედერიკ ბანტინგმა და ჩარლზ ბესტმა აღმოაჩინეს ინსულინი. დიაბეტი ფართოდ გავრცელებული დაავადებაა და ერთ-ერთ პირველ ადგილზეა სხვადასხვა დაავადებათა შორის.

დაფიქსირდა თუ არა დედოფლისწყაროში ბრუცელოზი?

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ გასული სამი კვარტლის ინსპექტირების შედეგები გამოაქვეყნა, რომელიც სურსათის უვნებლობის კუთხით ქვეყანაში არსებულ ვითარებას ასახავს. სხვადასხვა დროს გეგმიური და არაგეგმიური შემოწმება ჩატარდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ორგანიზაციებსა და საწარმოებშიც. დასკვნაში ნათქვამია, რომ პირველადი შემოწმების შედეგად დედოფლისწყაროში ბრუცელოზის შემთხვევა გამოვლინდა. გაიჟღერა ახლადშექმნილი კომპანია „რძის ქალაქის“ სახელმაც. სეს-ის კვლევის თანახმად, დარღვევა აღმოჩენილია დედოფლისწყაროში წარმოებულ პროდუქტში და ასევე თელავის სოფელ კურდღელაურში მდებარე ერთ-ერთ საწარმოში. ვინაიდან ბრუცელოზით დაავადებული საქონელი აღარ იკურნება და განადგურებას ექვემდებარება, რძის პროდუქტებით კი ადამიანიც ავადდება, ობიექტებს რძის მიღება შეუჩერდათ.

„რძის ქალაქის“ მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი თამარ მოდებაძე გაზეთ „შირაქს“ უდასტურებს, რომ პირველ შემთხვევაში ბრუცელოზის დაფიქსირება მოხდა, თუმცა ვინაიდან სისხლის ანალიზის კვლევამდე ეს ზუსტ პასუხად არ მიიჩნევა, სურსათის სააგენტომ სისხლის კვლევის ჩატარებამდე კომპანიას რძის ჩაბარება აუკრძალა. თუმცა, მოდებაძის განმარტებით, ბრუცელოზი დაფიქსირდა არა „რძის ქალაქის“ საწარმოში, არამედ სოფელ სამრეკლოში მდებარე ერთ-ერთ ფერმაში, საიდანაც ისინი პერიოდულად რძეს იღებდნენ. ამიტომაც ურთიერთობა ფერმასა და ინსპექტორებს შორის გაგრძელდა.

თამარ მოდებაძე: „ეს ფაქტი დაფიქსირდა მიმდინარე წლის ზაფხულში, თუმცა, ჩვენს საწარმოს ერთი დღითაც არ შეუჩერებია მუშაობა. რძის ნიმუში სააგენტომ ჩვენგან აიღო, საეჭვო შედეგის მიღებისთანავე შევწყვიტეთ ამ ფერმასთან ურთიერთობა. არც ფინანსური, ან რაიმე სახის სანქცია დაგვკისრებია. ამის შემდეგ სააგენტოსა და ფერმერს შორის გაგრძელდა ურთიერთობა. ჩვენ მიგვეთითა, რომ სისხლის კვლევის შედეგებამდე აღარ მიგვეღო მათი რძე, თუმცა ისედაც აღარ ვაპირებდით და კონტრაქტი განყვეტილი გვქონდა. მეორადი გადამოწმების შედეგად, სისხლის კვლევამ ბრუცელოზი აღარ დაადგინა, ამიტომაც არ მომხდარა იმ ფერმაში პირუტყვის განადგურება, როგორც ამას არსებული წესი ითვალისწინებს. ზოგადად, რძეში ბრუცელოზის აღმოჩენის სიზუსტე შედარებით ნაკლებია, ამიტომაც განმეორებითი სისხლის კვლევა დაინიშნა. სისხლის ანალიზის პასუხის მიღების შემდეგ ფერმერს ისევ მიეცა უფლება ჩვეულებრივ გაეგრძელებინა რძის ჩაბარება, თუმცა ჩვენ არ აღგვიდგენია თანამშრომლობა. ერთერთი მედია წერდა, რომ „რძის ქალაქს“ შეუჩერდა მუშაობის უფლება, მათ დავუკავშირდით და გაასწორეს შეცდომა, რადგან ჩვენ არ გავჩერებულვართ. ქარხანაში დანერგილია HACCP სტანდარტი, რაც საწარმოში სურსათის უვნებლობის ყველა საფრთხის წინასწარ გამოვლენას, აღმოფხვრას ან ამ საფრთხეების პრევენციის პროცედურების სისტემის ჩამოყალიბებას და სისტემატიურად განხორციელებას ნიშნავს. პერიოდულად ხდება რძის შემოწმება და შესაძლებელია ინსპექტორების გარეშე, ჩვენვე აღმოვაჩინოთ რძეში რაიმე ბაქტერია.“



სპეციალისტების განმარტებით, ბრუცელოზი ერთ-ერთი საშიში ინფექციაა, რითაც ავადდება ცხოველი და მათთან კონტაქტით, ან პროდუქტის მიღებით ადამიანი. ბრუცელოზის ბაქტერია განსაკუთრებით დიდი ოდენობით გამოიყოფა მშობიაროობის შემდეგ და ვრცელდება რძითა და შარდით. თერმულად დაუმუშავებელი რძის მიღება დაუშვებელია, ასევე ინფექციის გავრცელების წყარო შეიძლება გახდეს ყველი. მხოლოდ რძის ადუღების შემთხვევაში 60 გრადუსზე ბაქტერია 30 წუთის განმავლობაში კვდება. ცხოველშიც და ადამიანშიც ხშირია დაავადების უსიმპტომო მიმდინარეობა. ეს შეიძლება გაგრძელდეს ერთი კვირიდან რამდენიმე თვემდე. ახასიათებს: ცხელება, ზოგადი სისუსტე, სახსრების, კუნთების და თავის ტკივილი, ოფლიანობა, წონის დაკლება, უძილობა, დეპრესია და სხვა.

გვერდი მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

ანსამბლ „ქიზიყის“ საკონცერტო ტურნე დასრულდა

სიღნაღი-დედოფლისწყაროს ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ქიზიყის“ საკონცერტო ტურნე კახეთში დასრულდა. მათ შემაჯამებელი კონცერტები რამდენიმე ქალაქში გამართეს, მათ შორის დედოფლისწყაროში. გაზეთი „შირაქი“ შთაბეჭდილებებსა და სამომავლო გეგმებზე სასაუბროდ ქორეოგრაფ თამაზ ღვალაძეს შეხვდა.

თამაზ ღვალაძე (ქორეოგრაფი): „საზაფხულო გასტროლებიდან დაბრუნების შემდეგ თითქმის არ შეგვისვენია. ბოლო გასტროლი 12 ივლისს დავასრულეთ და აგვისტოს რეპეტიციები განვაახლეთ. ჩვენი მიზანი იყო, რაიონისთვის წარგვედგინა ჩვენი ნამუშევარი და საანგარიშო კონცერტი გავმართეთ. იყო პრობლემები, ხან გაციება, ხან ტრავმები, მაგრამ სამი თვის მზადებამ და ბავშვების თავდაუზოგავმა შრომამ შედეგი გამოიღო. „მთიულური“, „აფხაზური“, „დავლური“, „ხორუმი“ და „აჭარული“ მანამდე გვქონდა დადგმული. „ნარნარი“ , „ხევსურული“, „ყაზბეგური“, „სამია“, „სვანური“ და „კინტოური“ ბოლო ხანს დავდგით. საერთო ჯამში დედოფლისწყაროდან ასამდე ბავშვი მყავს, რომელთაგან 30 ანსამბლის წევრია, დანარჩენები სტუდიაში სწავლობენ. ძირითადად არბოშიკის, ოზაანის, ზემო მაჩხაანისა და მირზაანის ბავშვები დადიან. ანსამბლის წევრების ტრანსპორტირებას წნორში ვახდენთ და იქ ტარდება რეპეტიციები, ხოლო სტუდიის ბავშვებს აქვე, სოფლებში უტარდებათ მეცადინეობა. მუშაობა ახალი დაწყებული გვაქვს წმ.მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატში. თუმცა, ამ კონცერტისთვის ჩავთვალეთ, რომ სათანადოდ მომზადებულები არ იყვნენ, ამიტომ ეპარქიის სკოლის ბავშვებმა ამჯერად ვოკალური მონაცემებით გააფორმეს ჩვენი კონცერტი. თუმცა, მომავალ წელს უკვე თამამად შეძლებენ ცეკვას, სავარაუდოდ, ზაფხულში ქობულეთის ფესტივალზე მათაც წავიყვან.

პირველი კონცერტი 28 ოქტომბერს წნორში, ღია სცენაზე გაიმართა. სადაც ჩვენ ანსამბლს პარტნიორობა გაუწია ვოკალურმა ჯგუფმა „ქიზიყური ჰანგები“. იყო მცირე ტექნიკური ხარვეზები, თუმცა კონცერტმა კარგად ჩაიარა. შემდეგ, 30 ოქტომბერს, თელავში ქორეოგრაფთა კავშირის მიერ გამართულ ფესტივალზე „შემოდგომის რიტმები“ მივიღეთ მონაწილეობა. აქაც ჩვენმა ანსამბლმა დიდი მოწონება დაიმსახურა. თელავში გამოჩენილი საშემსრულებლო ოსტატობის და ასევე წარმატებული სოლო კონცერტის გამო ანსამბლს ქორეოგრაფთა კავშირმა მიანიჭა „სახალხო სანიმუშო“ ანსამბლის წოდება. 4 ნოემბერს, დედოფლისწყაროს კულტურის სახლში, გვქონდა საანგარიშო სოლო კონცერტი, სადაც მოწვეულნი იყვნენ სტუმრები. დედოფლისწყაროში კონცერტი გაალამაზეს ზემოთ აღნიშნულმა ანსამბლმა „ქიზიყური ჰანგები“ და წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის სიმღერისა და გალობის გუნდმა „გორგასალმა“. დატვირთული პროგრამა გვქონდა, ჯამში 12 ცეკვა გავიტანეთ. ქორეოგრაფთა კავშირის თავჯდომარე კახაბერ მარკოიშვილი გვესწრებოდა და ეს ჩვენთვის დიდი სტიმული იყო.

ოცამდე ბავშვს გადაეცა სტუდიის დამთავრების დამადასტურებელი მოწმობა და მოცეკვავის კვალიფიკაცია. ისინი კვლავ გააგრძელებენ ჩვენთან სიარულს.

„სახალხო სანიმუშო ანსამბლის“ წოდება, რა თქმა უნდა, დიდი მოტივაციაა ჩემთვისაც და ბავშვებისთვისაც. ამით ჩვენი შრომა ფასდება, მაგრამ ამავდროულად, ეს დიდი პასუხისმგებლობაა, რომ დავიცვათ ხარისხი და კიდევ უფრო განვვითარდეთ, რათა მომავალში უფრო მაღალ საფეხურებს მივაღწიოთ. გვაქვს მიზანი და ამბიცია, რომ ქართული ქორეოგრაფიის განვითარებაში ჩვენი წვლილი შევიტანოთ. გვინდა, ისეთი თაობები აღვზარდოთ, ქვეყანა და რაიონი ამაყობდეს. როცა მაყურებლის კმაყოფილებას და დადებით შეფასებებს ვხედავთ, ცხადია სასიამოვნოა და ამით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ქორეოგრაფი ყოველთვის მეტს მოითხოვს ბავშვებისგან.

ზოგადად, რეგიონში ერთ-ერთი ანსამბლი ვართ, რომელმაც ასეთი რაოდენობის ბავშვი გამოიყვანა კონცერტზე. ანსამბლში 60 ბავშვი გვყავს, რაც პანდემიის შემდეგ ძალიან მნიშვნელოვანი და კარგი შედეგია. კახეთის რეგიონში იშვიათია,რომ ამ რაოდენობის ბავშვი ჰყავდეთ ანსამბლში. მინდა აღვნიშნო, რომ რასაც აქამდე მივაღწიეთ, მშობლების ფინანური მხარდაჭერის შედეგია. მათი დიდი დამსახურებაა ჩვენი ასეთი წარმატება. ვფიქრობ, დავასვენო მშობლები ფინანსური დანახარჯებისგან, ახალი წლიდან კი, უკვე სხვა რეგიონებში დავგეგმავთ სოლო კონცერტებს. ჯერ არ გვაქვს გადაწყვეტილი რომელ რეგიონში წავალთ. ზაფხულში გვინდა ბულგარეთში გავემგზავროთ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. ვფიქრობ, მზად არიან სხვებთან პაექრობისთვის. საპრიზო ადგილზე გასვლის შემთხვევაში ეს იქნება ანსამბლის, ქვეყნისა და რეგიონის წარმატებით წარმოჩინებაც. თუმცა, მონაწილეობაც უკვე გარკვეული წარმატების მანიშნებელია. ახალ წლებამდე ჯერ აღარაფერი გვაქვს დაგეგმილი. გვინდა, ბავშვებმა ცოტა დაისვენონ.“

გიორგი ასანიშვილი (მოცეკვავე): „არბოშიკიდან ვარ. ძალიან ვამაყობ, რომ ცეკვაზე დავდივარ. დაახლოებით ხუთი წელია რაც სტუდიაში შევედი. ბავშვობიდან მიყვარს ცეკვა. მინდოდა კარგად მესწავლა და სხვა ქვეყნებისთვისაც გამეცნო ქართული კულტურა, ტრადიციები, გენი, რაც სისხლსა და ხორცში გვაქვს გამჯდარი და ამით ყველას გვეამაყა, ლამაზად გვეტარებინა ანსამბლ „ქიზიყის“ სახელი. ქორეოგრაფმა კურსდამთავრებულის მოწმობა გადმომცა და ბედნიერი ვარ.“

ლია მარტყოფლიშვილი (გიორგის მშობელი): „ზოგადად, ძალიან ხელოვნების მოყვარული ბავშვია. ჯერ ისევ პატარა იყო, მუსიკის ხმა რომ ესმოდა, სულ ცეკვავდა. ამიტომაც ხელი შევუწყეთ, რომ ცეკვაზე ევლო. გვინდოდა, ესწავლა ქართული ცეკვები. როდესაც გაიზარდა, კარგად იგრძნო ქართული სული, გენი. მისი შეძახილი მართლაც გულიდანაა ამოსული და მისი სახის მიმიკები ლამაზი სანახავია. ჩოხა-ახალუხი მატებს მებრძოლის სახეს. ერთი პატარა ქართველი ბიჭი მთლიანად არის ცეკვის მორევში ჩაფლული. ჩვენი მიზანი იყო ის, რომ ცეკვის დროს ტანის, სახის თუ მანერების დახვეწა შეძლებოდა და ვიზუალურად ლამაზი სანახავი ყოფილიყო. ცეკვით ასევე საშუალება ექნება, ბევრი იმოგზაუროს და ქვეყნის გარეთ გაიტანოს ჩვენი კულტურა“.

ილია მარტყოფლიშვილი

სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა აქტიურად მიმდინარეობს

წინასაარჩევნო დაპირებების შესრულება გრძელდება. ახალგაზრდობის წელთან დაკავშირებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა აქტიურად მიმდინარეობს.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან, სოლომონ ღორაშვილთან ერთად დაათვალიერა.

ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტში ეწყობა 7 ახალი სპორტული მოედანი, ხოლო რეაბილიტირდება - 10. ახალი სტადიონების მოწყობა მიმდინარეობს: ზემო მაჩხაანში, ქვემო ქედში, სამრეკლოში, ზემო ქედში და ქ. დედოფლისწყაროში. არსებულ სპორტულ მოედნებს რეაბილიტაცია უტარდება სოფლებში: არხილოსკალო, ქვემო ქედი, ფიროსმანი, სამრეკლო, გამარჯვება, ოზაანი, ხორნაბუჯი, არბოშიკი, მირზაანი და ქ. დედოფლისწყაროში. მუნიციპალიტეტის მასშტაბით სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია წლის ბოლომდე დასრულდება.

საბა ბუთხუზი ევროპის ჩემპიონია

საქართველოს უშუისტთა ნაკრებმა საბერძნეთის ქალაქ ლუთრაკიონში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე სამი ოქროს მედალი მოიპოვა, მათ შორის ერთი დედოფლისწყაროელია. საქართველოს ეროვნული ნაკრებიდან მხოლოდ სამი სპორტსმენი იყო წასული, 15 ნოემბერს სამივემ პირველი ადგილის დაკავება შეძლო. კონტინენტის ჩემპიონის ტიტული სანდრო კუჭავამ, საბა ბუთხუზმა და ვალერი პეხტერევმა დაისაკუთრეს. დედოფლისწყაროს უშუს გუნდის სპორტსმენმა 14 წლის საბა ბუთხუზმა 56 კილოგრამ წონით კატეგორიაში აზერბაიჯანელი ჰუსეინ ჰუსეინლი და სომეხი არტურ ვარდანიანი დაამარცხა და ევროპის ჩემპიონი გახდა.

როგორც საბას მწვრთნელი, გიორგი ცისკარაული „შირაქთან“ განმარტავს, საბა ბუთხუზი საბერძნეთში გამგზავრებამდე დარწმუნებული იყო, რომ გაიმარჯვებდა და წაგებას არც განიხილავდა. ფედერაციამ მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების ხარჯები კი დაუფინანსა,მაგრამ ამ ჩემპიონატზე წასვლა საბას საკუთარი ხარჯებით მოუხდა.

გიორგი ცისკარაული (მწვრთნელი): „ჩვენი ჩემპიონი სამშობლოში 17 ნოემბერს, გამთენიისას დაბრუნდა და ცხადია, ჩვენ აეროპორტში დახვედრა მოვუწყეთ. რომ გითხრათ, ევროპის ჩემპიონატისთვის დავიწყეთ მე და საბამ მზადება, არ იქნება მართალი. ჩვენ მუდმივად ვემზადებით დიდი ტურნირებისთვის. ჩვენს გუნდში ყოველთვის იციან, რომ ფორმაში უნდა იყვნენ და ეს მუდმივი მზადება წარმატებული სპორტსმენებისთვის ყოველდღიურობაა. საბაც ერთ-ერთი წარმატებულთაგანია. ამ შეჯიბრზე მოტივირებულ გავიდა, ძალიან უნდოდა მოგება. ფსიქოლოგიურად იმდენად კარგად იყო მზად, რომ არც კი უშვებდა, თუ ვინმეს შეეძლო მისი დამარცხება. შედეგმაც არ დააყოვნა და ასახელა საქართველო და მის საპატივსაცემოდ საბერძნეთში საქართველოს ჰიმნი აჟღერდა. ეს საბას მეორე მაღალი დონის შეჯიბრია 2022 წელს. პირველად ბათუმში საერთაშორისო ტურნირზე იმარჯვა. დეკემბრის თვეში კი საბა ინდონეზიაში გაემგზავრება მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც აუცილებლად იბრძოლებს ჩემპიონობისთვის. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სპორტის ცენტრის დირექტორს და უშუს ფედერაციის ხელმძღვანელობას გვერდში დგომისთვის.

თამაზ ბუთხუზი (მამა): „სპორტზე 6 წლის მივიყვანე, ფაქტიურად მისმაბავშვობამ ვარჯიშში გაიარა , ბევრჯერ დაეზარა, მაგრამ არ შემცოდებია და იძულებით გამიშვია ვარჯიშზე. დისციპლინამ, ამდენმა წლებმა, საბაზისო თავისუფალმა ჭიდაობამ და შემდეგ სანდამ ანგარიშგასაწევ უნივერსალურ მებრძოლად აქცია. ვფიქრობ, 14 წლის ასაკში ევროპის ჩემპიონობა ბევრისთვის სასურველი პერსპექტივაა და დღეს ის უკვე ჩვენია. მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვისაც ამ წარმატებაში წვლილი მიუძღვის, აბრამ ბოდაველს და განსაკუთრებით დღევანდელ მწვრთნელს, გიორგი ცისკარაულს. წინ მსოფლიო ჩემპიონატია, იქაც იგივე შედეგი გვინდა, ჩვენო ჩემპიონო“.

კიკბოქსინგის პერსპექტივები

10 ნოემბერს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორში გაიმართა ბავშვთა ტურნირი კიკბოქსინგში (ორგანიზატორი დავით სარდალიშვილი), სადაც მონაწილეობდა დედოფლისწყაროს კიკბოქსინგის გუნდი „ჩემპიონის“ ნორჩი სპორტსმენები შემდეგი შემადგენლობით: **ჭაბუკა მახარაშვილი; გიორგი ქადაგიშვილი; გიორგი ფიროსმანიშვილი; დათა და გეგა მანგოშვილები; გიორგი და დავით მატიაშვილები; მარიამ და ლუკა ჩაჩანიძეები; საბა რევაზიშვილი; ნიკა და ლაშა ჭუბაბრიები; საბა კვანჭიანი; მათე კვანჭილაშვილი; გიორგი ალუღიშვილი; ნიკა თარალაშვილი; ლუკა თეთვაძე და ლუკა ზურიკაშვილი.**

ასევე გაიმართა ორთაბრძოლები ჭაბუკ სპორტსმენთა შორის. ამ ასაკობრივ ჯგუფში თავი გამოიჩინა 2022 წლის საქართველოს ჩემპიონმა 51 კგ.ში, ლაშა ჭუბაბრიამ და 71 კგ-ში ნიკა თარალაშვილმა. კარგად იასპარეზეს ლუკა თეთვაძემ, გიორგი ალუღიშვილმა, მათე კვანჭილაშვილმა.

შეჯიბრის დასრულების შემდეგ გამოვლინდა „ტურნირის საუკეთესო სპორტსმენი“ და დიპლომით დაჯილდოვდა დედოფლისწყაროს გუნდის წარმომადგენელი 45 კგ.ში **გიორგი ქადაგიშვილი.** სიღნაღის გუნდიდან ნიკოლოზ პაპუაშვილი და ვანო ჯიმშიტაშვილი.

თამაზ ყარაგვეზაშვილი (მწვრთნელი): „საოცრად ლამაზი სანახავია პატარა მებრძოლების ხილვა ორთაბრძოლებისას. ასე იყო წნორის დარბაზშიც. ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ მოხერხებულობაში, სიმარჯვეში და ილეთების ოსტატურად გამოყენებაში. ჩვენი გუნდის აღმოჩენაა ნიჭიერი სპორტსმენი გოგონა - მარიამ ჩაჩანიძე, რომელმაც პირველი ორთაბრძოლა ჩაატარა და ყველა გააოცა ბრძოლისუნარიანობით და შემართებით.

შეჯიბრის დასრულების შემდეგ წნორიდან სიღნაღში გაემგზავრა გუნდი „ჩემპიონი“ და გახარებული ბავშვები „სიყვარულის ქალაქის“ ქუჩებში სეირნობდნენ. ბავშვების ჩაბმა სპორტში აუცილებელია ქართული გენოფონდის გაძლიერებისთვის და ასეთი ღონისძიებები ნათელი მაგალითია, თუ როგორ ცდილობენ კიკბოქსინგის ფედერაცია და მისი მწვრთნელები ხელშეწყობას. მადლობას ვუხდით სიღნაღის კიკბოქსინგის მწვრთნელს დავით სარდალიშვილს, დედოფლისწყაროს სპორტის ცენტრის ხელმძღვანელს ბ-ნ აკაკი ნატროშვილს და ბავშვების მშობლებს პატარა სპორტსმენების წახალისებისთვის და ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობისთვის.



გიორგი ალუღიშვილი: „ჩემი მეტოქე გამოცდილი და კარგი მებრძოლი ნიკოლოზ ხალილოვი იყო, თუმცა მაინც კარგი წინააღმდეგობა გავუწიე. მინდა გავხდე ევროპის ჩემპიონი და ამაში მთელს ჩემს შესაძლებლობებს ჩავდებ. ვარჯიში 5 წლის ასაკში დავიწყე, პატარა ასაკიდან შეჯიბრებზე აქტიურად გავდიოდი, შემდეგ ფეხის ტრავმა მივიღე და იძულებული გავხდი, ვარჯიში შემენყვიტა. წლების შემდეგ ისევ დავიწყე სამოყვარულო ვარჯიში. თამაზი მასწავლებელს დარბაზში მივაკითხე, აღარ ვაპირებდი რინგზე გასვლას, მაგრამ, მასწავლებელმა ძალიან დიდი მოტივაცია მომცა. ის ჩემთვის მწვრთნელზე მეტი გახდა. მისგან სპორტის გარდა ბევრი რამ შეიძლება ისწავლოს მოზარდმა. ის ხშირად გვესაუბრება, რამდენად მნიშვნელოვანია სპორტი მოზარდის ფსიქოლოგიური და ფიზიკური განვითარებისთვის. მის შემართებას რომ ვხედავ, რამდენად უყვარს თავის საქმე, ეს ჩემთვის დიდი სტიმულია. ბავშობიდან ვუყურებდი, დედოფლისწყაროელ ჩემპიონებს „კიკბოქსინგში“ და მეც მქონდა სურვილი ერთ-ერთი მათგანი გავმხდარიყავი“.

ნიკოლოზ თარალაშვილი: „ბრძოლები ბავშვობიდან მაინტერესებდა და ხშირად დავდიოდი შეჯიბრებების საყურებლად. კიკბოქსინგზე დაახლოებით 2 წელია დავდივარ. ასე ექსპრომტად მივიღე გადაწყვეტილება, მევარჯიშა. მასწავლებელს ძალიან კარგი მიდგომა აქვს ბავშვებთან, მაქსიმალურად ცდილობს, მეტი ინტერესი გაგვიჩინოს ამ სპორტის მიმართ და გვაძლევს დიდ მოტივაციას. ეს კი შედეგზეც აისახება.“

ლუკა თეთვაძე: „საკმაოდ ძლიერი მონინააღმდეგე შემხვდა წნორიდან. კარგად მომზადებული იყო, თუმცა, როგორც ამბობენ, კარგი ბრძოლა ჩავატარე და გამარჯვება მოვიპოვე. ორი წელი გავიდა, რაც კიკბოქსინგზე სიარული დავიწყე. ეს სპორტი ყოველთვის მიზიდავდა, ბავშვობიდან შეჯიბრებებს რომ ვუყურებდი, სულ მინდოდა რინგზე გამოსვლა და ჩემი ბავშვობის ოცნება ავიხდინე. მწვრთნელს თითოეულ ბავშვთან ძალიან კარგი მიდგომა აქვს, ყოველდღე გვაძლევს ვარჯიშის მოტივაციას. არაჩვეულებრივი პიროვნებაა, რომელიც ყოველთვის ცდილობს წარმატების გზაზე დაგვაყენოს და უფრო მეტს მივაღწიოთ. მისი მეგობრული დამოკიდებულება მართლაც დიდ მოტივაციას მაძლევს. უახლოეს მიზნებს რაც შეეხება, მინდა პირველობა მოვიპოვო საქართველოს ჩემპიონატზე, სამომავლოდ კი, უკეთესი შედეგი დავდო და მსოფლიოს პრიზიორი გავხდე. დარბაზის გარდა სახლშიც ვვარჯიშობ, დავრბივარ კიდეც. ძალებს არ დავიშურებ, რომ წარმატებული გავხდე და ჩემპიონის ტიტული მოვიპოვო“!..

სპორტული მიმოხილვა მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

მონატრება

ილიკო შარვაძე



ათი წლის წინ, 2012 წლის 21 ნოემბერს შემოდგომის სუსხიან ღამეს – მთავარანგელოზობის დღეს, ჩემს ოჯახს მოულოდნელად მეხი დაეცა, დატოვე ეს ქვეყანა და 38 წლის ასაკში გადაინაცვლე სამუდამო სასუფეველში, ჩემო ილიკო, ორი დიდი საეკლესიო დღესასწაულის - მთავარანგელოზობის და გიორგობის კვირაში.

ჩემთვის და შენთვის გაჩერდა დრო, დედას ერთადერთი შვილი აღარა ჰყავს და შვილს კი დედა. ორივეს სიხარული დამთავრდა, მხოლოდ განსხვავება ისაა, რომ მე სატანჯველად დავრჩი, შენ კი აღარაფერს გრძნობ. დავკარგე ძლიერი საყდენი, დავრჩი ცასა და მიწას შორის გამოკიდებული საყვარელი შვილის გარეშე. როგორ მინდა მოგეფერო, გულში ჩაგიკრა და გითხრა - „სად ხარ აქამდე, ჩემო ფორიაქა და ნიავ-ქარივით მოუსვენარო ბიჭო?“. ვერაფერს ხედავს შენი უბედური დედა, მხოლოდ შენი ღიმილი და სახე მიდგას თვალწინ. არ მინდა დავიჯერო, რომ აღარ მყავხარ, დღემდე ისევ გელოდები, მუდამ ჩემთან ხარ და იქნები, სანამ ვიარსებებ ამ ქვეყნად, გენაცვალოს დედა.

ძალიან მიკვირს, როგორ მიღამდება და მითენდება უშენოდ, ერთადერთი შვილის დამკარგავ დედას. უშენობის ტკივილი დაუძლეველია და მას ვერაფერი განკურნავს. დედას ძალიან ენატრები, არ არსებობს უფრო საშინელი მონატრება, უბედურ დედას გარდაცვლილი შვილი რომ ენატრება. არსაიდან საშველი რომ არ არის, ყველგან გეძებ, ყოველი მხრიდან გელოდები, მაგრამ ამაოდ. შენმა სიკვდილმა გამანადგურა, დრო ვერ განკურნავს უდიდეს ტკივილს.

„დრო მკურნალია“- ეს ორი სიტყვა გულში ტყვიასავით მხვდება და მოუშუშებელ იარას უფრო მტკივნეულს ხდის. განა შეიძლება, დედისთვის დრო მკურნალი იყოს? შეიძლება, ეს შორიდან მაყურებელი თვალისთვის ასე ჩანს, რადგან გულში დანთებულ ცეცხლის ვერავინ ხედავდეს და ვერც გრძნობდეს, ვერანაირი დრო ვერ შეცვლის ჩვენს დედაშვილობას, მაგრამ, ვაი, ასეთ შენს დედას და უდროოდ ჩვენს დაშორებას. აღარასოდეს დაბრუნდები, არ შემოაღებ შენი სახლის კარს და ვეღარ გავიგონებ ჩემთვის სანატრელ სიტყვებს – „დე, სადა ხარ!“ მხოლოდ მოგონებებით ვცხოვრობ და მჯერა, რომ ზეციდან დამყურებ- უსაზღვროდ თბილი და მოსიყვარულე ცისფერი თვალებით.

რეალობასთან შეგუება მიჭირს, არ მინდა დავიჯერო მომხდარი საზარელი ამბავი. მინდა თვალები მაგრად დავხუჭო, მერე გავახილო და ყველაფერი კვლავ ძველებურად იყოს, თითქოს არც არაფერი მომხდარიყო, მაგრამ რეალობას ვერსად გავექცევი, მინდა თუ არა, სიცოცხლის ბოლომდე ამ უდიდესი ტკივილით უნდა ვიარო.

მეამაყებოდა შენი დედობა, ყველაფრით გამორჩეული იყავი. ახლაც ეს გრძნობა მაძლევს ძალას, რომ შენს საპატრონოდ ვიცოცხლო, შვილო, შენ ხომ დედას ერთადერთი სანთელი ხარ, ჩემო ილიკო.

სიკვდილს ჰგონია, რომ დაგამარცხა, მაგრამ არა, ჩემო ილიკო. შენ გაიმარჯვე, რადგან შენი ამქვეყნიური არსებობა შენს შვილებში და შვილიშვილებში გაგრძელდება. მართალია, შენს ილიკოს არ ახსოვხარ, სამი წლისაც არ იყო, მაგრამ ნიას რა დაავიწყებს შენს თავს. შენი ნია უკვე დედაა, შენ კი ბაბუა პატარა ალექსანდრესი, რომელიც წლისა და სამი თვისაა და ის პირველად შემოვა თავისი ფეხით შენს საფლავზე და პატარა ხელებს მოუთათუნებს თავის ლამაზ და მარად ახალგაზრდა ბაბუას სურათს.

ილიკო, დედი, შენი ამქვეყნიდან ნასვლა ბედისწერა იყო, ეს ბედისწერა მეც მომიყვანს შენთან, მაგრამ სანამ ეს ბედნიერი შეხვედრა მოხდება, ვლოცულობ შენთვის და როცა მევხვდებით, გულში ჩაგიხუტებ უზომოდ მონატრებულ შვილს და გეტყვი - „მაპატიე, შვილო, რომ დავაგვიანე!“ ჩემო დედისერთა ბიჭო, ოღონდ მიხმე და ხომ გჯერა, არც დავფიქრდები, სიხარულით მოვალ შენთან, შვილო.

მონატრებული დედა:
ნათელა იაკობიშვილი-შარვაძე.

მიხა შარმაზანაშვილი

ულმობელ წუთისოფელში დაუნდობელი განაჩენის მსხვერპლი გახდი. 17 წელია შენი ოჯახისთვის 3 ნოემბერი, შენი დაბადების დღე, გლოვად გვექცა. 46 წელი შეგისრულდა. ამბობენ, ღმერთსაც რჩეულები უნდაო. ეს რომ ასეა, შენმა დაკარგვამ დაგვარწმუნა. ჩვენო მიხა, 21 ნოემბერს მთავარანგელოზობის დღეს წახვედი და გაგვიფრინდი 29 წლის ვაჟკაცი. არ ვიცით როგორ გავძლოთ უშენოდ, როგორ დავძლიოთ ტანჯვა. მხოლოდ 29 წელი იცხოვრე და ისიც ისე, რომ მხოლოდ სიკეთე თესე და მარადისობაში გადაინაცვლე. დრო მკურნალიაო, ტყუილი ყოფილა, უბრალოდ ვეჩვევით ხვედრს, შენი წილი გული მკვდარი გვაქვს.

უკვე სამი შვილიშვილის პაპა ხარ, ლელა სამი ანგელოზის დედა გახდა. თორნიკემ კი სამშობლოს სადარაჯოზე მუშაობა აირჩია. რამდენიმე თვეა მამაშენი შენთან წამოვიდა. აბა შენ იცი, მოხუც მამას მიგვიხედე, ამის შეხსენება არც გჭირდება.

განგებამ ყველას დაარქვა შესაფერისი სახელი, უდედმამო ბავშვებს - ობოლი, მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში- ქვრივი, მაგრამ ღმერთს გაუჭირდა შვილმკვდარი დედისთვის სახელი დაერქმია.

დაბადებისა და გარდაცვალების დღესაც სანთელი ინთება შენს საფლავზე და ყვავილები მოგვაქვს. ასე იქნება მანამ, სანამ ამ ქვეყნად შენი ცოლ-შვილი და შთამომავლობა იცხოვრებს.

მეუღლე: **ეკა**; შვილები: **თორნიკე** და **ლელა**; ძმა: **დათო შარმაზანაშვილი** ოჯახით, დები **მარიკა** და **ქეთინო** ოჯახებით, და დატანჯული დედა: **ლეილა შარმაზანაშვილი.**

მირზაანში ბელა ლობჯანიძის არტ-გალერეა გაიხსნა

ფიროსმანის 160 წლის იუბილესთან დაკავშირებით დედოფლისწყაროში გამართული ღონისძიებების ფარგლებში ნიკალას მშობლიურ სოფელ მირზაანში თანამედროვე თვითნასწავლი მხატვრის, ბელა ლობჯანიძის არტ-გალერეა გაიხსნა. ის მირზაანში დაიბადა და გაიზარდა, ამიტომ მისივე სახლში კაფე-გალერეა მოაწყო. ამბობს, რომ ფიროსმანის მშობლიური სოფლის განვითარება და ასეთი კერის არსებობა მისი დიდი ხნის ოცნება იყო. ის ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმში მუშაობს, საკუთარი გალერეის გარდა ადგილზე მან სამხატვრო სკოლაც გახსნა და მირზაანში არსებული კედლებისა და მესერების დიდი ნაწილი ფიროსმანის ნამუშევრების ასლებით მოხატა.

ბელა ლობჯანიძე: „არტ-გალერიის გაკეთება ევროკავშირის დაფინანსებით შევძელი. გალერეაში წარმოდგენილი იქნება როგორც ჩემი საავტორო ნამუშევრები, ასევე სხვადასხვა თანამედროვე მხატვრის ტილოები. მოეწყობა პოეზიისა და ხელოვნების მრავალფეროვანი საღამოები, რაც სასიამოვნო გარემოს შექმნის ყველასათვის. ვიმედოვნებ, ჩემი გალერეა დადებით გავლენას მოახდენს მნახველზე და ემოციებით დაიტვირთებიან. ძალიან მინდოდა ფიროსმანის მშობლიურ სოფელში ასეთი კერა შექმნილიყო. მსურს, რაც შეიძლება მეტი ადამიანი დავაკავშირო ხელოვნებას და რაც შეიძლება მეტ ბავშვს შევუწყო ხელი საკუთარი ნიჭის გამოვლინებაში.

გახსნის ცერემონიალს ბევრი საპატიო სტუმარი ესწრებოდა, როგორც პოეტები, ასევე მხატვრები და მოქანდაკეები. მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გურამ ცერცვაძემ განაცხადა, რომ მხატვართა კავშირში გამანწევრიანა. რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა, რადგან ეს ბევრი კონტაქტისა და მხატვრებთან ურთიერთობის საშუალებას მომცემს. ჩავერთვები გამოფენებში და ჩემს ნამუშევრებს წარვადგენ ფართო აუდიტორიის წინაშე. ყველას მინდა მადლობა გადავუხადო ჩემი სიხარულის გაზიარებისთვის.

– რა დახვდება სტუმარს ბელას გალერეაში?

– ტურისტებს ვთავაზობ დაათვალიერონ არტ-გალერეა, სადაც წარმოდგენილია ჩემი 50 ფერწერული ტილო. ასევე გამოფენილია ჩემი პორტრეტები, რომლებიც სხვებმა შეასრულეს და მომიძღვნეს. 23 ნოემბრიდან აქვე ამოქმედდება კაფე, გვექნება უგემრიელესი ხაჭაპური, ლობიანი, პიცა და ნამცხვრები. სტუმარი შეძლებს ადგილზე მიირთვას ჩაი, ყავა. ასევე შესაძლებელია ნამუშევრების შეძენაც. საქართველოში ნახატში ისეთ თანხას არ იხდიან, რომ ჩამოვხსნა და გავატანო, მაგრამ შემოთავაზებას გააჩნია.

– რამდენიმე წელია ცდილობ, ხატვა მოზარდებსაც ასწავლო...

– სამხატვრო სკოლას მხოლოდ ზაფხულობით ვხსნი, არდადეგებზე სამი თვით, ამიტომ ბაშვების რაოდენობა სხვადასვაა: 20-დან 30-მდე მერყეობს... გვაქვს გაკვეთილები ფერწერაში, გრაფიკულ ხატვაში, განვიხილავთ სხვადასხვა ნახატების შინაარსს და ასე შემდეგ. ძირითადად ბავშვები დადიან მირზაანიდან და ასევე მეზობელი სოფლებიდან. არბოშიკიდანაც გამოთქვეს სურვილი, ხატვის წრის გახსნაც შემომთავაზეს, თუმცა დროს სიმცირის გამო ამ ეტაპზე ვერ ვახერხებ.

– უპრეცედენტო შემთხვევაა, რომ სოფელში შემოსვლისთანავე სტუმარს ფოროსმანის ნახატები და პერსონაჟები გზადაგზა, რიგითი მაცხოვრებლების ქუჩებსა და მესერებზე ხვდება...

– რაც შეეხება მირზაანის ქუჩების მოხატვას, პირველად მესერების მოხატვის ხარჯი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ“ დააფინანსა, მეორეეტაპზედედოფლისწყაროს სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრმა. მოგეხსენებათ, მირზაანში ტურისტები ნიკალას მუზეუმის სანახავად სულ ჩამოდიან, მაგრამ ხშირად გზას ვერ პოულობენ, კითხვა-კითხვით ძლივს აგნებენ მუზეუმს. როცა თბილისიდან ვბრუნდებოდი, წარმოსახვაში სწორედ ასეთი ფორმით მოხატულ მირზაანს ვხედავდი ხოლმე. ვოცნებობდი კიდეც, სოფელში მოსულ სტუმრებსა თუ გამვლელებს ქუჩებში ნიკალას გმირები შეჰგებებოდნენ. ჯერ ჩემი ეზოს მესერის მოხატვით დავიწყე. ჩემს მესერზე ნიკალას მებადური რომ დავხატე, სანახავად უამრავი ბავშვი მოვიდა. ზოგმა მაშინვე მთხოვა, ჩვენც დაგვახატვინეთო. ასე დაიწყო ეს პროცესი. მომავალშიც გავაგრძელებთ, თუკი ფინანსური შესაძლებლობა გვექნება. ღობეების მოხატვამ დააინტერესა არა მარტო ადგილობრივები,არამედ ტურისტებიც. გვინდა დარჩეს განცდა, რომ მირზაანი არა ერთი რიგითი, არამედ ფიროსმანის მშობლიური სოფელია. ჩვენი მიზანია, ყოველმხრივ გამორჩეული იყოს, თუნდაც მოხატული კედლებით.

– სულ სხვა პროფესიაზე სწავლობდი, სამხატვრო განათლება არ გაქვს?

– საშუალო სკოლა მირზაანში დავამთავრე და თბილისში პედაგოგიურ ფაკულტეტზე გავაგრძელე სწავლა, თუმცა, ფინანსური პრობლემების გამო ვერ დავასრულე, შემდეგ რამდენიმე კოლეჯში გავაგრძელე სწავლა. მხატვრობა არ არის ჩემი სპეციალობა, ხატვა 19 წლისამ დავიწყე. სკოლის პერიოდში მხატვრობაზე არც მიფიქრია. დაახლოებით 25 წლის წინ მამა ავადმყოფობდა და ძალიან განვიცდიდით. ქართული ლიტერატურის წიგნი გადავშალე, პრომეთესა და მიჯაჭვული ამირანის ფოტოები ვნახე. უცებ ვიგრძენი, რომ ჩემში ცვლილება მოხდა, თითქოს ახალი ძალით აღვივსე. მაშინ პირველად დავხატე პრომეთე. კარგი გამოვიდა, მაგრამ ფერები როგორ დამეხატა არ ვიცოდი, ესეც ვარაუდით მოვახერხე. ჩემი ოჯახის წევრები, როდესაც მიხვდნენ, რომ ხატვა მიყვარდა, ხშირად მჩუქნიდნენ შესაბამის ნივთებს. ვფიქრობ, ადამიანში ხელოვნების ნიჭს ყოველთვის რაღაც მძაფრი მოვლენა აღვიძებს და ჩემს შემთხვევაშიც ასე მოხდა. ერთხელ ახალგაზრდა ბიჭის პორტრეტი დავხატე წარმოდგენით. ასეთი ადამიანი არასდროს მინახავს. ფეისბუქგვერდზე გამოვაქვეყნე და მალევე უცნობმა მომწერა, მე დამხატეთო? როცა მისი ფოტო ვნახე, მართლაც ძალიან ჰგავდა ჩემს ნახატზე გამოსახულ ახალგაზრდას. ასეთი შემთხვევები ხშირად ყოფილა. ვფიქრობ, ეს ინტუიციაა, რომელიც ბევრ ხელოვან ადამიანს აქვს.

– ფიროსმანის თემა დომინირებს შენს შემოქმედებაში...

– ჩემი ხელოვნება მუდმივად ფიროსმანის გარშემო ტრიალებს და ასე იქნება მომავალშიც. ამაყი და ბედნიერი ვარ, მის ნატერფალზე დავდივარ და ესაა ჩემთვის ინსპირაციაც და უდიდესი მადლიც“.

ილია მარტყოფლიშვილი



ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 21.11	სამშაბათი 22.11	ოთხშაბათი 23.11	ხუთშაბათი 24.11	პარასკევი 25.11	შაბათი 26.11	კვირა 27.11
დღე			19 °	15°	13°	13°	12 °
ღამე	5 °	7°	4 °	4°	5 °	4 °	3 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ილია მარტყოფლიშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი